საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1028

30/10/2019

ქ. თბილისი

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ტერიტორიული ორგანოს-ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2019 წლის 28 ოქტომბერს სამინისტროს მომართა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2006 წელს სამინისტროს მიერ ქუთაისის რეგიონალური ვეტერინარული ლაბორატორიის (რომელიც წარმოადგენს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის ტერიტორიულ ორგანოს) ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №88 (30.10.2006) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2013 წელს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის ტერიტორიულ ორგანოებს შეეცვალა სახელწოდება და ქუთაისის რეგიონალური ვეტერინარული ლაბორატორია ჩამოყალიბდა ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის სახელით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2006 წლის 30 ოქტომბრის №88 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „ქუთაისის რეგიონალურ ვეტერინარულ ლაბორატორიაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 3 ნოემბრის №1176

ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2006 წლის №88 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ტერიტორიული ორგანოს-ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №88; 30.10.2006);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქუთაისის რეგიონალურ ვეტერინარულ ლაბორატორიაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 3 ნოემბრის №1176 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ქუთაისის ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი